

# ჩემი გაზეთი

ბალდათის მუნიციპალიტეტი, ა.ა.ი.პ. ხელოვნებისა და ხალხურის განვითარების ცენტრი

## სამი ნომინაცია ჩატვათის სახალხო თეატრს

ლადო მესხიშვილის სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრში დასკვნითი ღონისძიება 8 ივნისს გაიართა. ფესტივალში „თეატრალური იმერეთი 2018“ იმერეთის ათი მუნიციპალიტეტის მოქმედმა თეატრებმა, ქუთაისის რამდენიმე დამოუკიდებელმა და სახელმწიფო თეატრმა, ასევე პოლონეთისა და აზერბაიჯანის დასებმა წარმოადგინეს თავი-

ში – „საუკეთესო სპექტაკლი“ – პრიზი საჩხერის თეატრს გადაეცა (სპექტაკლი „მეფე ლირი“). გამარჯვებული კულტურის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ დააჯილდოვა. ბალდათის მუნიციპალიტეტის სახალხო თეატრმა პრიზი სამ ნომინაციაში აიღო: მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის დაჯილდოვდა ბალდათის თეატრის მსახიობი მელიტონ ჯაფარიძე (პლატონის როლის შესრულებისთვის სპექტაკლში „სამანიშვილის დედინაცვალი“), ქალის როლის ეპიზოდური შესრულებისთვის ბალდათის თეატრის მსახიობი – ლელა ჭრელაშვილი (მელანოს როლის შესრულებისთვის სპექტაკლში „სამანიშვილის დედინაცვალი“) და საუკეთესო მხატვრული გაფორმებისათვის – ბალდათის თეატრი (მამუკა ტყეშელაშვილი).



ანთი შემოქმედება. ფესტივალის პირველ დღეს სცენა დაეთმო მესხიშვილის თეატრის დასს, რომელმაც დავით კლდიაშვილის პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლი „უბედურება“ (რეჟისორი გიორგი სიხარულიძე) უჩვენა მაყურებელს. 29 მაისს ბალდათის სახალხო თეატრმა დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“ (რეჟისორი ავთანდილ სახამბერიძე) წარუდგინა საზოგადოებას და დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

ფესტივალის „თეატრალური იმერეთი 2018“-ის მონაწილეებს კომპეტენტური ჟიური აფასებდა. მათი გადაწყვეტილებით, ნომინაცია-

ფესტივალის ფარგლებში, 22 მაისიდან 8 ივნისის ჩათვლით, წარმოდგენილი იყო 18 სპექტაკლი და ნებისმიერ მსურველს საშუალება ჰქონდა უფასოდ დასწრებოდა მას. ფესტივალის „თეატრალური იმერეთი“ მე-9 წელი იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციის მხარდაჭერით იმართება და ჩვენი მხარის კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენად იქცა. ასევე, იმერეთის გუბერნიის ინიციატივითა და ჩართულობით, უკვე მესამე წელია, ფესტივალის საერთაშორისო გახდა.

ანა შორიძე

## შენ შეგიძლია დაქმნა მათს – 1 ლარი – და წაიკითხო „ჩემი გაზეთი“

ივნისის ნომერი ფასიანია, თქვენს მიერ გადახდილი 1 ლარი არც გაზეთის ბიუჯეტის შევსებისათვის და არც გაზეთის გამოშვებისთვის საჭირო ტექნიკის განსახლებლად არის გამიზნული.

შარშან დაწყებულ საქველმოქმედო აქციას – „შენ შეგიძლია დაეხმარო მათს“ – რომელიც ცერებრალური დამბლით – სპასტიური ტეტრაპარეზით (ოთხივე კიდურის დაჭიმულობა) დაავადებული მათე რობაქიძის ოპერაციისთვის საჭირო თანხის შესაგროვებლად გამართეთ, კვლავ ვაგრძელებთ. სტამბოლში ჩატარებულმა ოპერაციისა და მკურნალობის პირველმა ეტაპმა წარმატებით ჩაიარა – მათს მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. სტამბოლის კლინიკაში მკურნალობის გასაგრძელებლად კვლავ ელიან მათს და ჩვენ ბალდათის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ თვითმმართველობასთან და მუნიციპალიტეტის მერთან, არჩილ გოგაძესთან ერთად გადავწყვიტეთ კიდევ ერთხელ გაუწოდოთ დახმარების ხელი მათე რობაქიძეს.

შენ შეგიძლია დაეხმარო მათს 1 ლარით და წაიკითხო „ჩემი გაზეთი“.



ა.ა.ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ფოლკლორული სიმღერის ანსამბლი „საირმე“ მაისში, ერთი კვირით, ქალაქ ბერლინში იმყოფებოდა და მარცან-ჰელლერს-დორფის ტრადიციული სიმღერის ფესტივალში მიიღო მონაწილეობა. გარდა ფესტივალში მონაწილეობისა, ანსამბლმა რამდენიმე კონცერტი გამართა გერმანიაში და მსმენელ-მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა. „საირმეს“ ბერლინური გასტროლის შესახებ „ჩემი გაზეთის“ გუნდს ესაუბრა ა.ა.ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის დირექტორი ვალერი კვინიხიძე, რომელიც გერმანიაში ანსამბლთან ერთად იმყოფებოდა.

## ანსამბლ „საირმეს“ ბუჩინოხი კასხორი

ილო მონანილობა. უნდა აღინიშნოს, რომ „საირმე“ სრული შემადგენლობით არ იმყოფებოდა ბერლინში. გამგზავრებამდე ორი დღით ადრე მომხდარი უბედური შემთხვევის გამო ანსამბლს ორი მნიშვნელოვანი მომღერალი გამოაკლდა (დღეს თავს ორივე კარგად გრძნობს). ამის მიუხედავად, ანსამბლი „საირმე“ ღირსეულად წარდგა საზოგადოების წინაშე და ეროვნულ სამოსში გამოწყობილ მომღერლებს მსმენელ-მაყურებელი დიდი სიხარულით შეხვდა. ჩვენს ანსამბლზე სტატია საკმაოდ ცნობილ ადგილობრივ გაზეთში – WELT-შიც კი გამოქვეყნდა.

ქალბატონი სანდრას დამსახურებით, ანსამბლი 11 მაისს თავის სოლოკონცერტზე მიიპატიჟა გერმანიაში მოღვაწე ცნობილმა ქართველმა მუსიკოსმა ბრენდონ სტოუნმა (ბესიკ შუტვიშვილი), რომლის კომპოზიციებსაც ევროპის ბევრი პოპულარული მომღერალი ას-

რულებს. კონცერტზე „საირმემ“ სამი სიმღერა შეასრულა, მათ შორის ყველასათვის ცნობილი სიმღერა „სულიკო“ ბესიკ შუტვიშვილთან ერთად იმღერა. 13 მაისს გამართულ მარცან-ჰელლერს-დორფის ტრადიციული სიმღერის ფესტივალზე წარმატებული გამოსვლის შემდეგ, 15 მაისს, „FORUM FACTOR“-ში გამართულ ანსამბლ „საირმეს“ სოლოკონცერტზე რამდენიმე სიმღერა მათთან ერთად შეასრულა ბერლინის საოპერო თეატრის სოლისტმა – ქრისტინე გორდაძემ. მომღერალი თავისი სიმღერებითაც წარდგა მაყურებლის წინაშე. ამ არაჩვეულებრივმა და ნიჭიერმა მომღერალმა ძალიან თბილად მიიღო ანსამბლი. კონცერტამდე „საირმემ“ რეპეტიცია ქრისტინესთან ერთად სიმენსების ვილაზე გაიარა და ამ დროის განმავლობაში ჩოხებში გამოწყობილ ანსამბლის წევრებს გამგულეები ინტერესით უსმენდნენ, რეპეტიციაზე დასწრების ნებართვას ითხოვდნენ, იღებდნენ ვიდეოებს, ფოტოებს, ცეკვავენ მათ სიმღერებზე. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში გამართული კონცერტები ქალბატონმა სანდრა ვერელმა და მისმა მეუღლემ ლოთარ რანმა გააძლიერეს და ბატონი ლოთარი უახლოეს მომავალში მოგვანგდის ფოტო-ვიდეომასალას.



მარცან-ჰელლერს-დორფის ტრადიციული სიმღერის ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად ანსამბლი „საირმე“ გერმანიაში ბალდათის მუნიციპალიტეტის მერის – არჩილ გოგაძისა და საკრებულოს თავმჯდომარის – შალვა მშვილდაძის მხარდაჭერითა და ბერლინში არსებული ქართულ-გერმანული საზოგადოების – „ქართლის დედას“ თანადგომით გაემგზავრა. ფესტივალის ერთდღიანი იყო, 13 მაისს გაიმართა, მაგრამ ანსამბლი, ჩასვლის დღიდან მოყოლებული, ყოველდღე, გერმანიის სხვადასხვა კუთხეში მართავდა კონცერტს, რომელიც წინასწარ იყო დაგეგმილი ორგანიზაცია „ქართლის დედას“ დამფუძნებლის – სანდრა ვერელის მიერ.

ქალბატონმა სანდრამ, მისმა მეუღლემ – ლოთარ რანმა და ქალიშვილებმა – თამარ და ეკატერინე ინაშვილებმა დიდი სიხარულითა და სითბოთი მიგვიღეს, დაგვხვდნენ აეროპორტში, დაგვამხიანეს სასტუმროში და მთელი კვირის განმავლობაში გვერდით გვედგნენ. ჩვენ გამო ბატონმა ლოთარმა საკმაოდ მნიშვნელოვანი ოპერაცია გადადო. ჩასვლის დღესვე ანსამბლმა 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მი-

ვრების სამზადისში აქტიურად იყო ჩართული მერიის ტურიზმის განვითარების განყოფილების უფროსი გია ხორავა, რომელსაც ყოველდღიური კონტაქტი ჰქონდა ქალბატონ სანდრასთან.

ფესტივალში მონაწილეობის მიღება ძალიან მნიშვნელოვანი იყო ანსამბლისათვის მისი განვითარებისა და ცნობადობის თვალსაზრისით. საქართველოს ფარგლებს გარეთ გასვლამ ხალხური სიმღერის მიმართ ახალგაზრდების დაინტერესება გამოიწვია. ეს დიდი სტიმული იყო თავად ანსამბლის წევრებისთვისაც – დაინახეს, რომ საშობალო პერსპექტივა აქვთ. მარცან-ჰელლერს-დორფის ტრადიციული სიმღერის ფესტივალზე გამოსვლა წინადადებული ნაბიჯია, რომელსაც შემდგომი განვითარება უნდა მოჰყვეს. ამის მომხრეა ადგილობრივი თვითმმართველობის თავკაცები და ამ მხრივ გვერდით უდგანან ანსამბლს. ქალბატონ სანდრასთან და მის ორგანიზაციასთან თანამშრომლობა კვლავაც გრძელდება და სამომავლოდ ანსამბლს ბევრი კარგი გეგმა აქვს.

ანსამბლმა „საირმემ“ მსმენელ-მაყურებლის გარდა ფესტივალის ორგანიზატორთა მოწონება რომ დაიმსახურა, ამის დასტურია ის სამადლობელი წერილი, რომელიც ბალდათის მუნიციპალიტეტის მერმა არჩილ გოგაძემ გერმანიიდან, ბერლინის მარცან-ჰელლერს-დორფის რაიონული ოფისის განათლების, კულტურის, სოციალური და მენეჯმენტის განყოფილების, სოციალური საქმის ოფისის ხელმძღვანელობისაგან მიიღო. ბალდათის მუნიციპალიტეტის ფესტივალზე მომავალ წელსაც არის მიწვეული.

ჩვენი მუნიციპალიტეტის სახელით დიდ მადლობას ვუხდით ქალბატონ სანდრასა და მთელ მის ოჯახს ჩვენ მიმართ გამოვლენილი სითბოსა და სიყვარულისათვის!

ანსამბლის გერმანიაში გამგზავ-

ბარბაქ შორიძე

# 28 მაისი - დამოუკიდებლობის სათავეებთან

26 მაისი უმნიშვნელოვანესი დღეა საქართველოს ისტორიაში. სწორედ ამ დღეს, 1918 წლის 26 მაისს, საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა, ეს იყო რუსეთის იმპერიასთან დაწყებული იმ ბრძოლის ლოგიკური დასასრული, რომელიც 1801 წელს დაიწყო.

**მოდით, თვალი გადავავლოთ საქართველო-რუსეთის დიდი ხნის ურთიერთობას.**

ერთ-ერთი პირველი კონტაქტი რუსებთან ჰქონდა დავით აღმაშენებელს. მას სურდა, ქართული ჯარის გაძლიერების მიზნით, ყოველთა გადმოსახლება. დასახმარებლად ის დაუკავშირდა კიევის რუსეთის მმართველს – ვლადიმერ მონომახს, რადგან ქართველთა მეფემ კარგად იცოდა, რომ მისი მხარდაჭერის გარეშე ეს პროცესი გაძნელებოდა.

რუსეთთან კონტაქტის თვალსაჩინო მაგალითია თამარ მეფის პირველი ქმარი იური ბოგოლიუბსკი, რომელსაც გიორგი რუსის სახელით ვიცნობთ.

მონღოლთა გაბატონების შემდეგ, დიდი ხნის განმავლობაში, რუსეთთან კონტაქტები განწყდა. ხელახალი ურთიერთობა დაიწყო XV ს-ის ბოლოს კახეთის მეფე – ალექსანდრე I-ის დროს.

ლევე, იმავე 1801 წელს, დაიწყო. ამას მოჰყვა მთიულეთის, კახეთისა და გურიის აჯანყებები. ქართველმა ინტელიგენციამ განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოამზადა 1832 წლის შეთქმულება.

რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა XIX-ის 60-იან წლებში თერგდალეულების, ე.წ. 60-იანელების, აქტიურობით, რომელთა წინამძღოლი იყო ილია ჭავჭავაძე.

XX ს-ის დასაწყისში ეროვნული პარტიების შესუსტების ხარჯზე თანდათან ძლიერდება სოციალისტური ფრთის პარტიები, განსაკუთრებით კი გაძლიერდა სოციალ-დემოკრატიული პარტია, ე.წ. „მესამე დასელები“. ამას ხელი შეუწყო ილია ჭავჭავაძის მკვლელობამ (1907 წელი) და არჩილ ჯორჯაძის ნაადრევმა გარდაცვალებამ (1913 წელი).

1914 წელს დაწყებულმა I-მა მსოფლიო ომმა და 1917 წელს რუსეთის რევოლუციამ კარგი შანსი მისცა რუსეთის იმპერიაში შემავალ ქვეყნებს, და მათ შორის საქართველოსაც, თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოეცხადებინათ.

ამ დროს საქართველოში სოციალ-დემოკრატიული პარტიის (რომელიც რუსული

თის იმპერიის სამართალმემკვიდრემ – რუსეთის დროებითმა მთავრობამ, უმტკივნეულოდ გააფრცვლა თავისი იურისდიქცია საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაზე.

1917 წლის მარტს შეიქმნა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი).

ოზაკომის მიმართ ლოიალური პოლიტიკა დაამყარეს ყველა ქართულმა პოლიტიკურმა, როგორც სოციალისტურმა, ისე ეროვნული ორიენტაციის პარტიებმა.

1917 წლის 25 ოქტომბერს რუსეთის კონტრრევოლუციის შემდეგ ბოლშევიკების მოსვლამ რუსეთის სათავეში და ტოტალური მმართველობის დამყარებას თითქოს ხელი უნდა შეეწყო საქართველოში ანტირუსული მოძრაობის გაძლიერებისათვის, მაგრამ დემოკრატიული რუსეთის მოტრფიალე სოციალისტური ორიენტაციის ძალები ფიქრობდნენ (ამასვე ფიქრობდა მთელი მსოფლიო), რომ ბოლშევიკების მოსვლა დროებითი იყო და ყველანაირად უშლიდნენ ხელს ეროვნული მოძრაობის გაძლიერებას.

ეროვნულ-დემოკრატიების (გიორგი გვაზავას, რევაზ გაბაშვილის, დავით ვაჩნაძის და სხვ.) ენერგიული პროტესტის მიუხედავად, რუსეთის მიმართ იგივე სულისკვეთება გაუღერდა საქართველოს I ეროვნულ ყრილობაზე (გაიხსნა 1917 წლის 19 ნოემბერს).

1918 წლის დასაწყისში ბოლშევიკებმა საბოლოოდ გაიმყარეს მდგომარეობა რუსეთში და მათ საქართველოს უკუპაციაც სცადეს, თუმცა უშედეგოდ და ამ ყველაფრის ფონზე (ამ დროს რუსული არმიაც არ იდგა და ის ოსმალებისგანაც ვეღარ დაიცავდა საქართველოს) 1918 წლის 9(22) აპრილს ამიერკავკასიის სეიმმა (თავმჯდომარე კარლო ჩხეიძე) არა საქართველოს, არამედ ერთიანი ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რაც სავსებით გაუგებარია, რადგან ამიერკავკასიის სამივე სახელმწიფოს განსხვავებული საგარეო ორიენტაცია ჰქონდა ადგილობრივი (საქართველო - გერმანია, სომხეთი - ბრიტანეთი, აზერბაიჯანი - თურქეთი).

ტრაპიზონისა და ბათუმის კონფერენციებზე ოსმალებმა მოითხოვეს ბრესტ-ლიტოვსკის ზავის (1918 წლის 3 მარტი) პირობების შესრულება. ამ მიზნით მათ დაიპყრეს აჭარა და სამხრეთ საქართველოს დიდი ნაწილი, საფრთხე ექმნებოდა ქუთაისსა და თბილისს.


აქედან გამომდინარე, საქართველოს ერთადერთი შანსი, რომ საერთაშორისო ასპარეზზე ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლა გაადვილებოდა, აუცილებელი იყო ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადება.

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტით საბოლოოდ გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. მაგრამ ეს ისე სპონტანურად და დაუგეგმავად მოხდა, რომ ქართული საზოგადოება მალევე შუაზე გაიხლიჩა ეროვნულ-დემოკრატიებისა და სოციალ-დემოკრატიების მომხრეებად. საქართველოს პირველი პირი ჯერ იყო ნოე რამიშვილი და შემდეგ კი ნოე ჟორდანიანი.

დამოუკიდებლობის შემდეგ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ქვეყნის სიმბოლოების (ჰიმნი, დროშა და გერბი) შექმნა.

**„დიდება“ – კოტე ფოცხვერაშვილი** ჩვენთვის, ბაღდათელებისათვის, მნიშვნელოვანია ჰიმნის ავტორი.

კოტე გრიგოლის ძე ფოცხვერაშვილი დაიბადა 1880 წლის 12 სექტემბერს სოფ. სვირში (დღევანდელი ზესტაფონის მუნიციპალიტეტი), ხელმოკლე მღვდლის ოჯახში.



მამამისი შემდგომ მღვდლად გადმოიყვანეს სოფ. ნითელხევში (დღევანდელი ბაღდათის მუნიციპალიტეტი), სადაც ის გაიზარდა.

კომპოზიტორის მშობლები კარგად იცნობდნენ ძველ ქართულ დამწერლობას, ხალხურ სიმღერებსა და სასულიერო გალობებს. სწორედ სოფლის ბუნებამ და მშობლების განათლებამ იქონია დიდი გავლენა მომავალი კომპოზიტორისა და პირველი ჰიმნის ავტორის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

პირველდაწყებითი, ზოგადი და მუსიკალური განათლება ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში მიიღო, შემდეგ სწავლა განაგრძო სასულიერო სემინარიაში, სადაც გალობისა და მუსიკის ელემენტარულ თეორიას ასწავლიდა ცნობილი ლოტბარი და მუსიკოსი კორნელი მალრაძე.

კოტე ფოცხვერაშვილმა უმაღლესი განათლება პეტერბურგის უნივერსიტეტში მიიღო, რამაც დიდად შეუწყო ხელი დიდმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ, „დედა ენისა“ და „ბუნების კარის“ შემქმნელმა იაკობ გოგებაშვილმა. მან ადრევე შენიშნა მომავალი კომპოზიტორის ნიჭი და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მას სტიპენდია მიეღო. გოგებაშვილის დიდი ძალისხმევით შედეგად ჯერ ბაქოში მოღვაწე იაკობ მანსვეთაშვილმა და შემდგომ ქიათურის მარგანეცის საზოგადოებამ მას დაუნიშნა ყოველთვიური სტიპენდია 65 მანეთის ოდენობით. ამ დახმარებას ძალზე აფასებს კოტე ფოცხვერაშვილი და რამდენჯერმე მადლობის წერილიც მიწერა იაკობ გოგებაშვილს.

კოტე ფოცხვერაშვილის მოღვაწეობამ დიდად შეუწყო ხელი ქართული მუსიკის განვითარებას. მისი შექმნილი საორკესტრო ანსამბლით მას შემოვლილი აქვს საიმპერატორო და საბჭოთა რუსეთის მთელი ტერიტორია.

ის გარდაიცვალა 1959 წლის 22 მარტს. მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება. დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და მედლებით.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მისი „დიდება“ საქართველოს ჰიმნად იქცა, რომელიც მხოლოდ 2004 წელს შეიცვალა.

1918 წლის 26 მაისი მიუხედავად იმისა, რომ უფრო სპონტანური იყო ვიდრე დაგეგმილი, მაინც დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო. სწორედ ამას მოყვა 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია, რომელშიც იყო ისეთი მუხლები, რომლებიც აშშ-ში, გერმანიასა და სხვა დემოკრატიულ სახელმწიფოებში მოგვიანებით შეიტანეს (მაგ. ქალის ხმა პარლამენტში). ამ მოვლენამ საკმაოდ დიდი გავლენა იქონია XX-XXI საუკუნის საქართველოზე.

**ჯუანხერ ვაგუშია**



რუსეთის სამეფოსთან და შემდგომ იმპერიასთან ურთიერთობა ჰქონდათ კახეთის მეფეებს: ალექსანდრე II-ს, თეიმურაზ I-სა და არჩილს. ქართლის მეფეებიდან – ვახტანგ VI-სა და თეიმურაზ II-ს, ასევე სამეგრელოს თავადს – ლევან II დადიანს.

რუსეთთან ურთიერთობა ახალ საფეხურზე ავიდა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-სა და იმერეთის მეფე სოლომონ I-ის დროს. სწორედ ამ მეფეების მმართველობის პერიოდში შემოდის საქართველოში რუსეთის ჯარი ტოტლებენის მეთაურობით.

რუსეთთან ურთიერთობის, შეიძლება ითქვას, პიკი იყო „გეორგიევსკის ტრაქტატის“ მიღება (1783 წლის 24 ივლისი (4 აგვისტო)).

1801 წელს ქართ-კახეთის მეფის გიორგი XII-ს გარდაცვალების შემდეგ რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო, ხოლო 1810 წელს იმერეთის სამეფო. იმერეთის მეფე — სოლომონ II იძულებული გახდა ოსმალეთში გადახვეწილიყო, სადაც გარდაიცვალა კიდევ. ამას მოჰყვა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებაც (1811 წელი).

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა მა-

სოციალური პარტიიდან ფინანსდებოდა) სიძლიერის გამო ფაქტობრივად ქართულ მოსახლეობაში არ არსებობდა ანტირუსული განწყობილება. ქართული საზოგადოება რუსეთს ჯერ კიდევ „მხსენლად“ და „მფარველად“ მიიჩნევდა. ამ განწყობის მთავარი რამდენიმე მიზეზი იყო: დაინგრა რუსეთის იმპერია, დაიწყო მისი დემოკრატიზაცია; წარსულს ჩაბარდა რუსეთის სამხედრო-ბიოკრატიული მმართველობა საქართველოში; აღარ იდევნებოდა ქართული ენა, ეროვნული კულტურა, ეროვნული მოძრაობა; აღდგა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, რომლის კათალიკოს-პატრიარქი გახდა კირიონ II (საძაგლიშვილი); ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები (კარლო ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი) დიდ როლს ასრულებდნენ რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში; ოსმალთა აგრესიისაგან საქართველოს იცავდა რუსეთის კავკასიის არმია. სოციალ-დემოკრატიები სწორედ ამ ფაქტს იყენებდნენ იმისათვის, რომ არ დაეშვათ საქართველოში ეროვნული მოძრაობის გაძლიერება და ქვეყნის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადება.

ამ ჩამოთვლილი მიზეზების გამო რუსე-

# ჯეორგი მიაკოვსკი - 125

დასაწყისი №2 (30)

## ბალდათში

1898 წელს მიაკოვსკების ოჯახი საცხოვრებლად ყარამან შარაშიძის სახლში გადავიდა. როგორც ზემოთ ვთქვით, პოეტის დედა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ოლია დაუმეგობრდა ნატაშა შარაშიძეს (ყარამანის ქალიშვილს), სწორედ მათგან ისწავლა ვალოდიამ ქართული ენა. ალექსანდრა პავლენკო ამით ადასტურებს, რომ ეს ადამიანები განსაკუთრებით ახლობლობდნენ მათთან. მეტ ინფორმაციას იძლევა ლუდა მიაკოვსკის მოგონებები ამ „ამბების“ გარშემო. ის ვლადიმერ მიაკოვსკიზე დაწერილ წიგნში ამბობს: „ოჯახი გადავიდა საცხოვრებლად აგრონომ ყარამან შარაშიძის ახალ ბინაში, სოფლის ცენტრთან ახლოს, 1898 წლის გაზაფხულზე. მამა და ყარამანი ახლო მეგობრები იყვნენ. ადგილი იყო თვალწარმტაცი. პირდაპირი გზა სახლისაკენ ვენახებს შორის მიდიოდა. ახალი თეთრი შენობა მწვანეში იყო ჩაფლული. მარცხენა აივანი ოთხი საფეხურის სიმაღლეზე, მარჯვენა კი მაღლა, გორაკის ფერდობზე იყო განთავსებული. აივნების გარშემო გაშენებული იყო მსხლის ხეები. აივნიდან ახლო და შორეული მთების ულამაზესი ხედები იშლებოდა. მთები დაფარული იყო ბალებითა და ვენახებით. ქვემოთ მდინარე ხანისწყალი ქუხდა და ბობოქრობდა. მისი ნაპირებიდან მოჩანდა დიშის ულამაზესი ხედი.“

სახლი ახალი აგებული იყო, იდგა ნედლი ხისა და საღებავის სუნი. ექვსი ოთახიდან ჩვენ გვეკავა ოთხი, ორი — მეპატრონეს. შენობას მთელ სიგრძეზე გასდევდა ორი აივანი. ეზო იყო საკმაოდ დიდი, ხეხილით სასვე.

ბინა უნდა მოგვენყო. მამამ იყიდა ახალი ავეჯი და ვენური სკამები. ავეჯის ნაწილი შეუკვეთა ბაღათელ ხელოსნებს.

მამას უყვარდა ხე, როგორც პროფესიონალს, ლამაზი ფერით, ორიგინალური, საინტერესო ორნამენტებითა და დამუშავებით. არ უყვარდა შეღებილი ავეჯი. შეუკვეთა ნაბლის ხის ბუფეტი და გარდერობი. ჩემთვის დაამზადეს, ბაღათელის სატყეოში მოჭრილი ურთხმელისაგან, პატარა, ლამაზი კარადა, რომლის ზედა თარო შევინული

იყო, ხოლო ქვედა გამოსანევი თაროები წიგნებისათვის იკეტებოდა ხის კარებით. ის ახლაც დგას ჩემს ბინაში, მოსკოვში.

შარაშიძეებთან ცხოვრების პერიოდში ხშირად ვსეირნობდით მათ ფართო ეზოში. ოლია დაუმეგობრდა ჩვენი მასპინძლების ქალიშვილს — ნატაშას და მე დღემდე, როცა ვარ მიაკოვსკი, სიხარულით ვხვდები ნატაშა ყარამანის ასულ შარაშიძეს, მის შვილებსა და შვილიშვილებს.



ჩვენი მასპინძელი კარგი მეღვინე იყო, მის სახლთან ხშირად ეწყობოდა დიდი ჭურები (ქვევრები)... ლეონისთვის, რომელიც იტევდა ას ორმოცდაათ-ორას ვედროს. ასეთ ჭურებში შეიძლება მოთავსებულიყო მოზრდილი ადამიანი. როცა მათ რეცხავდნენ ან ამრობდნენ, ისინი ეწყობდნენ გვერდულად.

ვალოდიას უყვარდა ჭურში ჩაძრომა, ის სინჯავდა თავის ხმას, ხმამაღლა კითხულობდა ლექსებს და ეუბნებოდა დას:

— ოლია, ნადი მოშორებით, მომისმინე, კარგად თუ გესმის ჩემი ხმა.  
მას უყვარდა კითხვა მიაკოვსკის ლექსის — „მწყემსი“:

„იყო სასტიკი მეფე დონ პედრო, შიშით კანკალი გაჰქონდა მის ხალხს...“  
კითხულობდა სხვა ლექსებსაც. ჭურებს კარგი რეზონანსი ჰქონდა, ისმოდა ხმამაღლა, გუგუნით.

ამ ეზოში ვალოდია სწავლობდა ცხენზე ჯდომას. როცა მამა ბრუნდებოდა ტყიდან, ოლია და ვალოდია გარბოდნენ შესახვე-

დრად. მამა ჩამოდიოდა ცხენიდან, სვამდა ჩემ ძმას უნაგირზე და დაჰყავდა აღვირით... ვალოდია თამაშობდა ეზოში, მსხლის ხის ქვეშ, საიდანაც ჩანდა გზა... ელოდებოდა შემდეგ მხედარს, იმრიზი და სხვა მეტყვეები ანიჭებდნენ მას ამ სიამოვნებას. ილია მოსიძე დადიოდა ხანდახან ვირით და აძლევდა ვალოდიას სეირნობის უფლებას.

ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს, შარაშიძეების სახლში, საგაზაფხულო არდადეგების დროს, ჩვენი ძალებით სპექტაკლი დაგვედგა. იყო ბევრი ფაციფუცი, რომელშიც სხვებთან ერთად ვალოდიაც მონაწილეობდა.

ჩვენი ნაცნობები, დედაშვილი გლუშკოვები, ცხოვრობდნენ სოფელ კაკასხიდში, ნაძვანში, მთაზე, იმის გამო რომ ვასიას, გიმნაზიის უფროსკლასელს, ფილტვებზე მკურნალობდა სჭირდებოდა. ჩვენ დავდიოდით მათთან ცხენით...

მამა ხშირად ეპატიუებოდა ადამიანებს. განსაკუთრებული სიამოვნებით მასპინძობდა მისთვის საინტერესო პიროვნებებს. ერთ-ერთი მისი ასეთი ნაცნობი, რომელსაც სატყეოში შეხვდა, აღმოჩნდა მეტყვე პეტერბურგიდან.

მას ჰქონდა კარგი სამგზავრო ფოტოაპარატი. როცა ჩვენი სტუმარი პეტერბურგში ბრუნდებოდა, მამამ სთხოვა, საფასურის მიღებისთანავე გამოეგზავნა ფოტოაპარატი, მაგრამ გავიდა ორი-სამი თვე, აპარატი არ ჩანდა და, როცა გადაგვეწერა იმედი, ვიფიქრეთ, რომ მეტყვემ მოგვატყუა, დაპირებული ნივთი მოვიდა...

ყველას ძალიან გაგვიხარდა. ზუთი წლის ვალოდიამ შეთხზა რაღაც ლექსისმაგვარი ამ ფაქტთან დაკავშირებით:

„Мама рада, папа рад,  
Что купили аппарат.“

მრავალი წლის შემდეგ მან გაიხსენა ეს სტრიქონები და პერიფრაზირებული გამოიყენა პიესა „აბანოში“. სიხარული გამოწვეული იყო არა მხოლოდ აპარატით, არამედ იმით, რომ არ შეეცდით ადამიანში — მან შეასრულა დანაპირები.

## კოჭე კიანაძე

ასეთად დამამახსოვრდა 1898 წელი.“

ასეთია ლუდა მიაკოვსკის მოგონებები 1898 წლის „პერიპეტიებზე“. ის ასევე ლამაზად იგონებს შარაშიძეების ოჯახში გატარებულ შემდომ 1899 წელსაც. ზაფხულობით აქ თავს იყრიდნენ მიაკოვსკებისა და შარაშიძეების ნათესავები. ისინი ერთად დადიოდნენ სანადიროდ, სათევზაოდ, საღამოობით იკრიბებოდნენ სახლის აივანზე და ვალოდია უკითხავდა მათ ლექსებს. დადიოდნენ ზეკარში მინერალურ წყლებზე ცხენებით და ორთავალათი. როგორც ლუდა იგონებს: „ეს იყო ნამდვილი რომანტიკა და პოეზია! ჩვენი ნათესავები ახლაც იხსენებენ ამ მოგზაურობას... მამას მოჰყავდა მოხეტიალე მუსიკოსები, რომლებიც უკრავდნენ საოცარ, თვითნაკეთ ინსტრუმენტებზე, გუდაზე... დაჰყავდა ბავშვები ცხენბურთის სათამაშოდ...“

დაუვიწყარი იყო 1899 წლის ზაფხული... მაგრამ ზაფხული მიილია და მე, ახლა უკვე ოლიასთან ერთად, გავემგზავრე პანსიონში... მამამ ოლია მე მომბარა. ვალოდია დარჩა ბალდათში მარტო, მშობლებთან და ბებიასთან ერთად. მან, რა თქმა უნდა, ძლიერ მოიწყინა მარტომ, დების გარეშე“.

მიაკოვსკებისა და შარაშიძეების მეგობრობა გრძელდებოდა მეოცე საუკუნის სამოციან წლებამდე, მათი სიცოცხლის ბოლომდე.

მიაკოვსკები 1940 წლიდან, მას შემდეგ, რაც კუჭუხიძეების სახლში ვლადიმერ მიაკოვსკის მუზეუმი გაიხსნა, ბალდათში ჩამოსვლისას ყარამან შარაშიძის ოჯახში ცხოვრობდნენ. ისინი იქიდან მართავდნენ სამუზეუმო, ლიტერატურულ პროცესებს ალექსანდრე კოლოსკოვთან და მიქელ პატარიძესთან (მუზეუმის პირველ ხელმძღვანელებთან) ერთად.

მუზეუმის არქივებში დაცულია ლუდა და ოლია მიაკოვსკების რამდენიმე წერილი ნატაშა შარაშიძის სახელზე, რომლებიც ჩვენი აზრით, საკმაოდ საინტერესო ინფორმაციას იძლევა მათ ურთიერთობაზე. ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს, თუ როგორ ხედავდნენ „სამყაროს“ შესანიშნავი „ბაღათელი“ ქალბატონები, რაზედაც „ჩემი გაზეთის“ შემდეგ ნომრებში გვექნება საუბარი.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

## დასაწყისი №1 (29)

ახალგაზრდა უცნობის იშვიათი სილამაზით გაოგნებული მიაკოვსკი დაბნეული დაემშვიდობა ბურლიუკსა და კამენსკის. სადღაც გაუჩინარდა. მოიმიზეზა თითქოს რაღაც საქმეები ჰქონდა.

მეგობრები ხელოვნებაზე ლაპარაკობდნენ, ბურლიუკმა შეწყვიტა საუბარი და თქვა: „რაც შეეხება ამ... ჯოკონდას, ვალოდიასათვის ეს საოცრებაა... თუ იღბალი გაუღიმებს... ის ახალგაზრდა... ცადოს ბედი...“

კამენსკი იგონებს: „დავინახე, რომ ზუსტად ამ დროს ეტლით ჩაიქროლა მიაკოვსკი. მასთან ერთად ვილაც იყო, როგორც ჩანს ის.“

დოდიჩკა, შეხედე, შეხედე... ვალოდია... ის მარტო არ არის...“

მეორე დღეს მიაკოვსკიმ მეგობრებს, ერთ ერთ არაჩვეულებრივ სახლში მიწვევის შესახებ აცნობა.

ისევ კამენსკის მოგონებებიდან: „ერთი საათის შემდეგ, ჩვენ უკვე ბინაში ვიყავით იმ ინიუნერთან, რომელიც დავინახეთ რიშელიეს ძეგლთან მეუღლისა და „ჯოკონდას“ თანხლებით. სადღისი გადაიქცა პოეზიის დღესასწაულად. ჩვენ გამუდმებით ვკითხულობდით ლექსებს. ვსაუბრობდით რაღაც საზეიმო ამბებზე. ვალოდიას ხუმრობებს შეეძლო გაემხიარულებინა ჰერცოგ რიშელიეს ძეგლიც კი. ის საუბრობდა ბევრს, მხიარულად და ჭკვიანურად. ცდილობდა, რაღაც არ უნდა დაჯდომოდა, მოეწონებინა თავი იქ მყოფთათვის და პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მარია ალექსანდრეს ასულისათვის. მან იოლად შეძლო სასურველი შედეგის მიღწევა... და როგორც ამბობდნენ: ის იყო დაუვიწყარი.“

## მეცამეტე მოცულება

საზეიმო სადილიდან დაბრუნებულებმა, სასტუმროში, დიდხანს ვერ შევძელით დაწყნარება, უზარმაზარი შთაბეჭდილების გამო, რომელიც მოახდინა ჩვენზე მარია.

ბურლიუკი ღრმავარაუდოდ დუმდა, აკვირდებოდა ვალოდიას, რომელიც ნერვიულად დააბიჯებდა ოთახში და არ იცოდა, რა ეღონა, სად წასულიყო, რა ექნა ამ უეცრად თავს დატეხილი სიყვარულისთვის... ბოლოს სცემდა და თან კითხულობდა: რა ვქნა? როგორ მოვიქცე? დავნერო წერილი? მაგრამ ეს სისულელე ხომ არაა?... მე თქვენ მიყვარხართ და მერე რა?... ვუთხრა ყველაფერი ერთად? ის დაფრთხება... და ყველას შეეშინებდა... იტყვიან ყითელი ხალათი და უეცრად...“

და მან ბავშვურად, ფაქტიურად უმნოდ, მოგვმართა ჩვენ: „მოდით ნავიდეთ ზღვასთან. მე არასოდეს მინახავს ზღვა ღამით. ვფიქრობ ეს უნდა იყოს შესანიშნავი. — ნავიდეთ...“

ჩვენ ნავიდით სანაპიროზე და დიდხანს ვუყურებდით მდუმარების მუქ-ლურჯ დიდებულებას, რომლის ზემოთ ეკიდნენ ლამაზი, სიმშვიდის მომგვრელი ვარსკვლავები.

ვალოდია თავისთვის ჩურჩულებდა: — გენიალური ღამეა... საკმარისია... ნავიდეთ... ის მიდიოდა წინ მარტო, მაღალი, ჩამოსხმული, შავგვრემანი.

ბურლიუკი ფილოსოფოსობდა თავისთვის: ასეთებს ბუნება ქმნის მარტოსულებად. მე არ მჯერა წარმატების. პირველი სიყვარულიდან არასდროს არაფერი არ გამოდის. ჯოკონდა მხოლოდ ნაწარმოებია. მას შეიძლება

უბრალოდ უყურო, მაგრამ თუ ის ეტყვის ოჯახის წევრებს, ან ახლობლებს, რომ უყვარს პოეტი, მას შემოიღება ჩათვლიან და ჩაკეტავენ“

მოუხედავად ამისა, ფუტურისტების საღამოებზე, 16 და 19 იანვარს, რომელიც ტრიუმფით მიდიოდა ოდესის რუსულ თეატრში, წინა რიგებში იჯდა ულამაზესი მარია. მიაკოვსკი იმედოვნებდა და ემზადებოდა გადაამწყვეტი შეხვედრისათვის. კამენსკი ასე ახასიათებს მიაკოვსკის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას იმ დღეებში: „მან სრულიად დაკარგა მოსვენება, არ ეძინა თავად და არ გვაძინებდა ჩვენ.“

ბურლიუკი პირდაპირ ეუბნებოდა:

ტყუილად იტანჯები ვლადიმერ ვლადიმერის ძე და ჩვენც ტყუილად გვანჯალებ. დამერწმუნეთ, პირველი სიყვარულიდან არასდროს არაფერი არ გამოდის. ეს ცნობილი ჭკმარტივებაა.

ახლოვდებოდა წასვლის დრო. წინ იყო გასტროლები: კიევი, კომინოვი, ნიკოლაევი, მაგრამ მიაკოვსკის არ უნდოდა ოდესიდან წას-

ვლა. მეგობრები ეუბნებოდნენ:

— აუხსენი ხვალვე. ერთი თვის შემდეგ შეგიძლია ისევ დაბრუნდე ოდესში.

— მე ასე არ მინდა. ხვალ ოთხზე ის მოვა, მე ვეტყვი ყველაფერს და დარწმუნებული ვარ, მარია დამთანხმდება, მაგრამ თუ...“

მწარედ ჩაიღიმა ფიქრებში წასულმა ვალოდიამ.“

მარია დენისოვა მართლაც მივიდა მასთან სასტუმროში, თუმცა ევროპულ და ამავე დროს პროვიციულ ოდესში. ეს სარისკო იყო წესიერი



ქალიშვილის რეპუტაციისათვის. საუბარი შედგა, მაგრამ შედეგი არ იყო სასიხარულო. დაატყულ დღეს მეგობრებმა დატოვეს ქალაქი.

# მეცხე მეცხე მოცხეული

## დასაწყისი 3 გვ.

ისევ კამენსკის მოგონებებიდან: „...საერთაშორისო ვაგონის კუბე... ვსაუბრობთ რომ რაღაც უნდა გავაკეთოთ დიდი, მონუმენტალური, მარადიულობაზე გათვლილი... ვსაუბრობთ სპეციალური მიზნით – ავანთოთ ვალოდია.“

ის კი გაფანტული უყურებდა ფანჯარაში მორბენალ პანორამას და ღიღინებდა სვერიანინის ცნობილი ლექსის დასაწყისს:

ეს იყო ზღვასთან...

იმეორებდა გამუდმებით, სხვადასხვა კილოზე.

და მალე, მოლუშული ღიმილით, დაიწყო გამეორება, რითმულად ცალ-ცალკე ამბობდა თითოეულ სიტყვას, ტიკივილი იქცეოდა სტრიქონებად:

დაახ, ეს მოხდა ოდესაში.

ახლა ცხადია.

ეს არ ყოფილა არც ბოდეა და

არც მალარია.

ოთხზე მოვალო, – მითხრა მარიამ.

დაიგვიანა.

უკვე ათია.

(მთარგმნელი ვახტანგ ჯავახიძე)

ხდება მარიას მეუღლის ეჭვიანობის მიზეზი.

შემონახულია გვიანდელი წერილები, რომლებიც მოწმობენ რომ ვალოდია გვერდით ედგა მარიას, შემოქმედებითი პროექტების განხორციელებაში.

1928 წლის 21 დეკემბრის წერილში ის წერს: „ჩემო ძვირფასო, ვლადიმერ ვლადიმერის ძვე!“

გთხოვთ, გაუფრთხილდეთ ჯანმრთელობას. ძალიან შევწუხდი, როცა გავიგე, რომ თქვენ უკან დაიხიეთ. რათქმა უნდა, ჯანმრთელობის თვალსაზრისით, თორემ, ცხადია ლიტერატურაში თქვენ სწორ გზაზე დგახართ. ვისურვებდი, მეხილა კიდე ერთი ორი მონუმენტალური ნაშრომი... ჩემო ძვირფასო, გაუფრთხილდით თავს. უცნაურია, თქვენ ყოველმხრივ უზრუნველყოფილი ხართ და ვერ ახერხებთ თქვენს გარშემო შექმნათ ისეთი ცხოვრებისეული გარემო, რომელიც ჩვენ თქვენ თავს დიდხანს შეგინარჩუნებდა.

მაგრად გართმევთ ხელს, ყოველთვის ჩემო კეთილო და ახლობელო.

მარია.“

არის სხვა წერილები, სადაც მარია თხოვს მაიაკოვსკის თანადგომას თავის საქმიანობაში, შუამდგომლობას ლუნაჩარსკისა და სხვა თანამდებობის პირებთან, იმ წინააღმდეგობის დაძლევაში, რომელიც საკმაოდ ძლიერდებოდა მამინდელ საბჭოთა ბიუროკრატიაში. ერთ-ერთ ასეთ წერილზე (შავ ვარიანტზე) არის მინაწერი: „ქმარს გავცილდი, წავედი საერთო საცხოვრებელში... და ყველაფერი სკულპტურის გამო. სახლის საქმეები მართმევდა მთელ დროს. მთხოვა, დამიყოლია დაგზრუნებულყოფი, მემუქრებოდა თავის მოკვლით, მაგრამ წასვლა აუცილებელია, მუშაობას არ მაცლის. სახლის მშენებლობა. ეგოიზმი, ტირანია...“

ამ წერილებიდან ჩვენს თვალში იშლება, უღმაზესი სულის ადამიანის ფსიქოლოგიური დრამა. უარი თქვა დიდ სიყვარულზე და ამით ტრაგიკული გახდა როგორც თავისი, ალბათ მაიაკოვსკის ბედიც.

„Allo ვინ რეკავ? ვინ არის ნეტავ?“

დედა ხარ?

დედა!

ვერ არის კარგად შენი ვაჟი!

ობრავს მწუხარედ.

გულის ხარბაძაში იფერფლება მისი ოცნება.

ოლიასა და ლუდას უთხარით, დებმაც იცოდნენ, –

ველარ მორჩება.

ტურქებზე დალი დასტყობია უღიმღამობის, და ყოველ სიტყვას ისე ანთხევს,

ისე წარმოთქვამს, –

თითქოს შიშველი კახა გამორბის ცეცხლოდებული სამეფოდან.“

(მთარგმნელი ვ. ჯავახიძე)

ძლიერ ადამიანებს შეუძლიათ ბრძოლა საკუთარ თავთან. გენიალური პოეტი, ლამაზი და ძლიერი ახალგაზრდა კაცი, დიდებისა და პოპულარობის ზენიტში მყოფი, ისევ დილე-მის წინაშეა. მას უყვარს საოცრად ლამაზი ქალიშვილი, რომელიც არ არის მის მიმართ გულგრილი, მაგრამ ბედი თითქოს დასცინის. ცხოვრებისეული გარემოებების გამო, მან უარი უნდა თქვას იმ უდიდეს გრძობაზე, რომლის გარეშე ცხოვრებას მისთვის აზრი არა აქვს:

„კი არ მითხარი –

მომახალე:

„იცით –

ვთხოვდები!“

გათხოვდით.

რა ვქნა?!

მეც გავხდები უფრო გულცივი.

ხედავთ – მშვიდი ვარ! –

ცხედრის

პულსივით.“

(მთარგმნელი ვ. ჯავახიძე)

როცა დიდ სიყვარულთან გაქვს საქმე, შეუძლებელია გაეცე საკუთარ თავს, „მარტო დარჩე შიშველ სურვილთან.“

„ეს მე ვარ თვითონ.

ველარ ვაცხრობ მზერას დამუხტულს.

ნეკნებს ვეყრდნობი,

მარტო ვრჩები შიშველ სურვილთან:

უნდა ამოვხტე!

უსათუოდ უნდა ამოვხტე!

ვერა!

ვერასდროს ამოხტები

თურმე გულიდან!“

(მთარგმნელი ვახტანგ ჯავახიძე)

უდავოა, რომ პოემის ტრაგიკული პათოსი გამოწვეულია ბევრი გარემოებით: ბიოგრაფიული, ისტორიული, ფილოსოფიურ-ეთიკური ხასიათის, უფრო ფართო, ვიდრე სასიყვარულო წარუმატებლობა, თუნდაც დრამა. მაიაკოვსკი ტრაგიკული პიროვნებაა. ეს ჩანს მის სხვა ნაწარმოებებშიც: ტრაგედია „ვლადიმერ მაიაკოვსკი“, პოემები „ადამიანი“, „ამის შესახებ“, „ხერხემლის ფლიტა“ და ა.შ. მაგრამ ფაქტია, რომ მარია დენისოვასთან შეხვედრამ მისცა იმპულსი გენიალური პოემის დაბადებას.

იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ როგორია მაიაკოვსკისათვის პროტოტიპისა და მხატვრული სახის ურთიერთმიმართება, შეიძლება მოვიყვანოთ კამენსკის მოგონება. ფუტურისტიკური ტურნედან დაბრუნების შემდეგ, მაიაკოვსკიმ დაპატიჟა კამენსკი თავისთან, დედისა და დების სანახავად. საუბრობდა შთაბეჭდილებებზე. კითხულობდა ნაწყვეტებს პოემიდან. კამენსკი იგონებს: „ცრემლმორეულმა დეიდა ჰკითხა ვალოდიას:

– „ახლა სად არის, ის, მარია?“


– არ გინდა დედა ახლა ამაზე საუბარი, ნაზად უპასუხა ვალოდიამ და ხელი მხრებზე მოხვია, – მე ვწერ მხოლოდ ლექსებს...“

მიუხედავად იმისა, რომ მაიაკოვსკის შემოქმედება ძალზე პირადულია, ის შემდგომში აღარასდროს აკეთებს კომენტარს თავის ლირიკულ გმირებსა და მათ პროტოტიპებზე, ცდილობს გამიჯნოს პოეზია ცხოვრებისეული რეალობიდან.

მარია დენისოვა სიცოცხლის ბოლომდე ფიქრობდა, რომ მარია პოემიდან – ეს არის მხოლოდ თავად, რომანტიკული შორეული და სუფთა გოგონა 1914 წლის ოდესიდან, ხვდებოდა თუ რა ცუდი სამსახური გაუწია საკუთარ თავს, როცა უარი თქვა დიდ სიყვარულზე.

საინტერესოა მაიაკოვსკის შეხედულებები პოეზიაზე ამ პერიოდში. სამწუხაროდ მამინდელი პრესა დაკავებული იყო მხოლოდ ფუტურისტების ლანდღვით და კრიტიკით. ადგილობრივი ხელისუფლება კი ყველგან ცდილობდა ჩაეშალა მათი ხმაურიანი გამოსვლები. მხოლოდ რამდენიმე პროვინციულმა გაზეთმა შემოგვინახა, შედარებით ნორმალური ანგარიში მაიაკოვსკის გამოსვლების შესახებ. ქალაქ ნიკოლაევის ადგილობრივ გაზეთში ერთ ერთმა ჟურნალისტმა-ნეუდანოვმა გამოაქვეყნა წერილი, სადაც არის მოყვანილი მაიაკოვსკის სიტყვები ფუტურისტების შესახებ. შეიძლება ვთქვათ, რომ ასეთია მისი დამოკიდებულება პოეზიასთან იმ წლებში. ის ამბობდა: „ფუტურისტების პოეზია, ეს არის ქალაქის პოეზია, რომ ქალაქმა გაამდიდრა ჩვენი განცდები და შთაბეჭდილებები ახალი ქალაქური ელემენტებით, რომელსაც არ იცნობდნენ წარსულის პოეტები, რომ ქალაქი ცვლის ბუნებასა და სტიქიას და თვითონ ხდება სტიქია, რომლის წიაღშიდაც იბადება ახალი, ქალაქის ადამიანი...“

...შეიცვალა ცხოვრების რიტმი. ძველი პოეზიის წყნარი, მშვიდი, აუჩქარებელი რითმები აღარ შესატყვისება თანამედროვე ქალაქელის ფსიქიკას. „ციებცხელება“, აი რა ახასიათებს თანამედროვე ეპოქას.“ საუბრობდა ასევე სიტყვის თვითკმარ მნიშვნელობაზე პოეზიაში, რომ „სიტყვას აქვს თავისი არომატი, ფერი, სული, სიტყვა ცოცხალი ორგანიზმია და არა მხოლოდ ნიშანი, რაღაც



ცნების განსაზღვრისათვის. სიტყვას შეუძლია დაუსრულებელი კადეცია, როგორც მუსიკალურ გამას.“

პოემის მეოთხე თავში მოვლენები ვითარდება მოსკოვში, ამ ნაწილში მარიას პორტრეტში ამჟღავნებს იკვეთება „სონკას“ კონტურები, მაიაკოვსკის ღრმა და ტრაგიკული სიყვარული.

სოფია შემარდინა, მინსკელი გოგონა, ბესტუჟევის უმაღლესი კურსების მსმენელი, ლიტერატურულ წრეებში ცნობილი იყო უბრალოდ, როგორც სონკა. ამ ბავშვური სახელით შევიდა ის ბევრი ცნობილი ხელოვანის ლირიკულ ნაწარმოებში. მას მიუძღვნეს თავისი სტრიქონები ფიოდორ სოლოვიოვმა და იგორ სევერიანინმა.

ისე მოხდა, რომ სონკამ გააცნო მაიაკოვსკი და სევერიანინი ერთმანეთს 1913 წლის შემოდგომაზე. ის იგონებს: „მას შემდეგ, რაც ისინი ერთმანეთს გავაცანი, სევერიანინმა აღიარა მაიაკოვსკი... როცა მე მივედი მინსკში, სევერიანინი მაცილებდა ცისფერი ვარდებით და მაიაკოვსკი იებით. მაიაკოვსკი ხუმრობდა ამასთან დაკავშირებით: „შენ გაცილებს თანამედროვეობის ორი უდიდესი პოეტი“. სევერიანინს კი ტრაგიკული სახე ჰქონდა.“

სოფია შემარდინაზე მზრუნველობა პეტრბურგში იმ დროისათვის ცნობილია და სოლიდურმა ლიტერატორმა, კორნეი ჩუკოვსკიმ იტვირთა, რომელიც ამბობდა, რომ სონკას მშობლებს იცნობდა.

შამარდინას მოგონებებში ვკითხულობთ: „მაიაკოვსკი ვნახე და მოეუსმინე პირველად 1913 წელს სამედიცინო ინსტიტუტში. ლექციას ფუტურისტების შესახებ კითხულობდა კორნეი ჩუკოვსკი...“

ლექციის შემდეგ კორნეი ჩუკოვსკიმ გამაცნო მაიაკოვსკი... ჩვენ წავედით კაფე „მანანალა ძალში“, სადაც მიდიოდა მაიაკოვსკი. ჩვენ მივედით „ძალში“ 12 საათისათვის... მე ვიჯექი მას და ჩუკოვსკის შორის, ბედნიერი და ამაყი – პოეტის ყურადღებით.“

მათი ურთიერთობა სწრაფად განვითარდა და სიყვარულში გადაიზარდა.

მაიაკოვსკის პოპულარობა დღითიდღე იზრდებოდა. ძლიერდებოდა სიყვარული. სონკა სულ უფრო და უფრო იძირებოდა გრძობის მორევში. მასთან ერთად დაინერა შესანიშნავი ლექსი – „მისმინეთ“.

შემონახულია მოგონება იმის შესახებ, თუ როგორ დაიბადა ეს ლექსი: „მივედი დიდი ეტლით... ვბრუნდებოდი რომელიღაც საღამოდან. ცა მოქუფრული იყო. მხოლოდ ხანდახან გამოჩნდებოდა ვარსკვლავები და იქვე, ეტლში დაეწყო ლექსი სტრიქონებად. მისმინეთ, თუკი ვარსკვლავებს ანთებენ ცაზე-მამასადამე ეს საჭიროა?...”

.....  
მამასადამე ყოველ საღამოს, ამ გადაუანგულ სახლების თავზე აუცილებლად ბრწყინავდეს უნდა, ერთი ვარსკვლავი რა არის, მაგრამ

ერთი ვარსკვლავი თუნდაც?!

(მთარგმნელი მ. ფოცხიშვილი)

ექვრა ჩემი ხელი და მელაპარაკებოდა ვარსკვლავებზე. შემდეგ მეუბნება: „გამოდის ლექსი, მაგრამ მე არ მაგას, ვარსკვლავებზეა! ძალიან სენტიმენტალურია? მაინც დავწერ, მაგრამ არ დავბეჭდავ.“



მარია დენისოვამ უარი უთხრა მაიაკოვსკის, თუმცა არ უთქვამს რომ არ უყვარდა. ხასიათის სიმტკიცემ შეაძლებინა წინ აღდგომოდა მამაკაცურ მაგნეტიზმს და მოხიბვლელობას. სიტუაცია ევგენი ონეგინის სცენარის მოგაგონებდათ. მაიაკოვსკი, ბურლიუკთან და კამენსკისთან საუბრისას, იმეორებდა სიტყვებს ტატიანას წერილიდან: „წერილს გწერთ მეტი რა შემეძლება...“ ოდესის სასტუმრო ნომერში მან მოისმინა თითქმის პუშკინის ტატიანას სიტყვები:

„ისევ მიყვარხარტ რად ვიცბიერო?

მაგრამ სხვისი ვარ ან და მარადის!“

(მთარგმნელი ოთარ ჭელიძე)

მარია დენისოვა სხვისი საცოლე იყო უკვე. ის 1914 წელს გაათხოვდა და მუშაობდა თან ერთად გაემგზავრა შვეიცარიაში. თუმცა მალე გასცილდა მეუღლეს. პირველი ქორწინებიდან ქალიშვილი დარჩა.

რუსეთში დაბრუნებული მარია, სადაც უკვე სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა, აკეთებს არჩევანს. 1919-1921 წლებში ხელმძღვანელობს სამხატვრო-სააგიტაციო განყოფილებას, ჯერ ცხენოსანთა პირველ, ხოლო შემდეგ მეორე არმიის. ლებულობს მონაწილეობას ბრძოლებში, იყო დაჭრილი. მეორედ გათხოვდა გენერალ ევიმ შადენკოზე.

სანამ რუსეთში დაბრუნდებოდა, მარია ოთხი წელი ეუფლებოდა მხატვრობისა და ქანდაკების ხელოვნებას ჟენევაში. ბედმა ის კვლავ შეახვედრა მაიაკოვსკის. მათი მეგობრობა სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა. ვალოდია ეხმარებოდა, ზრუნავდა მასზე, რაც ხშირად

# ნიჭიერი თაობა

ჩვენი რუბრიკისათვის, ამ ნომრის სტუმრად გვინდა წამდვილად ნიჭიერი, გამორჩეული, ახალგაზრდა მუსიკოსი გიორგი ებანოიძე წარგიდგინოთ. გიორგი ებანოიძე ქ. ბაღდათში დაიბადა 2004 წლის 6 ნოემბერს. 3 წლის ასაკიდანვე გამოამუშავა მუსიკისადმი განსაკუთრებული სიყვარული, დედამ, ქ-ნ დარეჯანმა, პირველი სიმღერა, რევაზ ლალიძის „თბილისო“ ასწავლა. 6 წლისამ სწავლა დაიწყო ქ. ბაღდათის მუსიკალურ სკოლაში. გიორგი განსაკუთრებული სიყვარულით იხსენებს პედაგოგებს ქ-ნ მანანა ოთარაშვილს, გულიკო გოგასაძეს და ნათელა ანდრიაძეს, მისი თქმით, ქ-ნ ნათელას დიდი ღვაწლი აქვს მისი მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, მისივე დახმარებით, 2017 წლის 6 ივნისს, სოლო კონცერტზე გამართა, რომელზეც წარმატებით შეასრულა კლასიკური ნაწარმოებები, ასევე დიდი მონაწილეობა მიიღო სახურა მისივე შექმნილმა კომპოზიციებში.



ბაღდათის სამუსიკო სკოლის დამთავრების შემდეგ გიორგიმ სწავლა ქ. ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სამუსიკო სასწავლებელში გააგრძელა, წარმატებით გაიარა საგამოცდო ეტაპები და ჩაირიცხა. იგი უფასოდ ეუფლება საფორტეპიანო ოსტატობას. ამჟამად მისი პედაგოგი ქ-ნ ციცილო თოდუაა. ამ წლის 18 თებერვალს მან მონაწილეობა მიიღო „ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა მეორე ეროვნული“ კონკურსში. გიორგი აპირებს გახდეს პროფესიონალი კომპოზიტორი, მის სამომავლო გეგმებში შედის კონსერვატორიაში, საკომპოზიციო განხრით, სწავლის გაგრძელება და ბოლოს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს მისი მშობლების მონდობა და დაუღალავი გვერდით დგომა გიორგის პროფესიონალად ჩამოყალიბების ურთულეს გზაზე.

აზა მახანავიძე

## მოსწავლეთა 72-ე სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია

ა. (ა). ი. პ. მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ორგანიზებით გამოცხადებულ მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციაზე ბაღდათის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეები (VII-XII კლასები) ყოველ წელს ლეზულაშვილს მონაწილეობას. კონფერენციის ორგანიზება მუნიციპალიტეტში ადგილობრივ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებს ევალება. წლებიდან – მოსწავლეთა 72-ე სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 180 წლის იუბილეს მიეძღვნა.

წელს კონფერენცია ჩატარდა შემდეგ საგნებში: ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია, ისტორია, ქართული, სამართალი, სამოქალაქო განათლება და გერმანული. სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციაში ბაღდათის მუნიციპალიტეტში მონაწილეობა მიიღო როხის, ვარციხის, ფერსათის №2, დიშის №1 და №2, ტარიელ კვიციანიძისა და კოტე ფოცხვერაშვილის სახელობის ნითელხევის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა და მათმა თემის ხელმძღვანელებმა. I ტური გამართა ბაღდათის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში, სადაც შეიმოსული 29 თემიდან ზონალურ კონფერენციაზე, რომელიც ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის წარმომადგენლებმა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ანსუ) ჩაატარა, 18 თემა გავიდა.

ზონალურ ტურში ბაღდათის მუნიციპალიტეტის ორი მოსწავლის – დიშის №1 საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლეების მიხეილ ახლედიანისა (ისტორია, ხელმძღვანელი: მაია ინანეიშვილი) და ნინო ნებერიძის (ქართული, ზოია ბურჯალიანი) თემაზე გამარჯვება და თბილისში გაიგზავნა. მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში დასკვნითი ტური 12 მაისს გამართა და 380 სამეცნიერო ნაშრომი მეცნიერებმა და სხვადასხვა სფეროს სპეციალისტებმა შეაფასეს. კონფერენციის დასასრულს წარმატებულ მონაწილეებს საზეიმო ვითარებაში, პრიზებთან და საჩუქრებთან ერთად, გადაეცათ დიპლომები და სიგელები. სამწუხაროდ, მათ შორის ვერ მოხვდნენ ბაღდათის მუნიციპალიტეტის მოსწავლეები.

მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის მიზანია მოსწავლეთა ცოდნის გაღრმავება, დამოუკიდებელი მუშაობისა და ინფორმაციის სინთეზის უნარის განვითარება, მოსწავლეთა ინტერესის გაძლიერება მეცნიერებისა და კულტურის ამა თუ იმ დარგის დასაუფლებლად.

ინფორმაცია მოგვანოდა ბაღდათში მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციაზე პასუხისმგებელმა პირმა, ბაღდათის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ბიოეკოლოგიის მიმდინარეობის ხელმძღვანელმა – გოჩა ნერგაძემ.

მარიამ შარაძე

## ბაღდათის ოჩ სოთქერს ბიბლიოთეკა დაიხსნა

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ოჩასა და ნითელხევი 2007 წელს დახურულმა ბიბლიოთეკებმა ფუნქციონირება დაიწყეს. სამკითხველოების გახსნა საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილეს მიეძღვნა. ბიბლიოთეკები ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერმა არჩილ გოგასაძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ შალვა მშვილდაძემ, ვანისა და ბაღდათის ეპარქიის მიტროპოლიტ მუჟეჟ ანტონთან და თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად გახსნეს. ღონისძიებას საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი რუსუდან ასათიანი დაესწრო, რომელმაც ბიბლიოთეკებს საჩუქრად წიგნები გადასცა და სამომავლო თანამშრომლობაზე ისაუბრა. სამკითხველოები ოჩასა და ნითელხევი ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის დიდი ძალისხმევითა და თვითმმართველობის მხარდაჭერით აღდგა.



## თვიან თქმე

\*\*\*

პროექტი „ინტელექტის დღე 2018“-ის ეგიდით გამართულ რა? სად? როდის? ბაღდათის მუნიციპალიტეტის ეტაპზე 10-მა საჯარო სკოლამ მიიღო მონაწილეობა. პროექტი „ინტელექტის დღე 2018“ საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში გაიმართა და ყველგან ერთდროულად 13:00 საათზე დაიწყო პირველი შეკითხვა, ასევე ყველა მუნიციპალიტეტში მოთამაშე სკოლის მოსწავლეებმა ერთსადაიმთხვე 30 შეკითხვაზე გასცეს პასუხი. ბაღდათის მუნიციპალიტეტში 13 ქულით გამარჯვება ქ. ბაღდათის №2 საჯარო სკოლამ მოიპოვა. 11-11 ქულით კი მეორე ადგილი ორმა სკოლამ, სოფ. როხის საჯარო სკოლამ და სოფ. ნითელხევის კ. ფოცხვერაშვილის სახელობის საჯარო სკოლამ გაიყვეს. გამარჯვებული ქ. ბაღდათის №2 საჯარო სკოლა 6 ოქტომბერს ქ. თბილისში ფინალურ ეტაპზე მიიღებს მონაწილეობას და სხვა მუნიციპალიტეტში გამარჯვებულ სკოლებს გაეჯიბრება.

\*\*\*

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ბაღდათის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის ღონისძიება გაიმართა. პატარებისათვის ამ დღის მილოცვა ცენტრალური ბიბლიოთეკიდან დაიწყო – ქ. ბაღდათის №1 საჯარო სკოლის მეორეკლასელებმა ერთი დღით ზღაპრის სამყაროში იმოგზაურეს ფიფქიასა და ჯუჯებთან ერთად. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ხელნაკეთი ნამუშევრების გამოფენა გაიმართა. ბავშვებს ეს დღე ვალერიან ქაშაყაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის აღსაზრდელებმა კლასიკური მუსიკით მიულოცეს, ხოლო კოტე ფოცხვერაშვილის სახელობის ნითელხევის ხელოვნების სკოლის მოსწავლეებმა მონოსპექტაკლი „ჭინჭრაქა“ წარუდგინეს. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები რევაზ ლალიძის სახელობის კულტურის სახლში კომპოზიტორ ნუკრი კარკაძის საბავშვო სიმღერების პრეზენტაციით დასრულდა. ღონისძიებები ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით განხორციელდა.

\*\*\*

ბაღდათის მუნიციპალიტეტში საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლის იუბილე მრავალფეროვანი ღონისძიებებით აღინიშნა. მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის, ა. (ა). ი. პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის, ა. (ა). ი. პ. სკოლამდელი და სკოლის გარეშე დაწესებულებათა გაერთიანებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის, სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრის წარმომადგენლებმა, დამთავლიერებულს საინტერესო სანახაობა შესთავაზეს. ქალაქის ცენტრალურ სკვერში, ღია სივრცეში, მოეწყო „1918-1921 წლების ხეივანში“ დამოუკიდებლობის პერიოდის ამსახველი ფოტო-ისტორიებისა და იმ პერიოდში გამოძახილი გაზეთების პირველი გვერდების გამოფენა; „მცირე ამფითეატრზე“ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ჰიმნის, „დიდების“ ავტორის, სოფელ ნითელხევი გაზრდილი, ცნობილი კომპოზიტორის კოტე ფოცხვერაშვილის ცხოვრების და მოღვაწეობის ამსახველი ეზო-კუთხე. ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლებისა და ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის მომღერალთა ანსამბლის კონცერტი; ასფალტზე ხატვა და სახის მოხატვა პატრიოტული თემატიკით; ახალგაზრდული ბენდის საფინალო კონცერტი.

ბაღდათის მერიის ფოიეში ნაჩვენებია იყო ბაღდათის მუნიციპალიტეტში მცხოვრები, ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ მებრძოლებზე გენდერული საბჭოს მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმი.



\*\*\*

რევაზ ლალიძის სახელობის ბაღდათის კულტურის სახლში ქართველი მომღერლის, ანსამბლ ალილოს წევრის – ლაშა ღლონტის სოლოკონცერტი გაიმართა. მან ბაღდათელი მკურებლის წინაშე ყველასთვის ნაცნობი და საყვარელი სიმღერები შეასრულა, მათ შორის ახალგაზრდა ბაღდათელი კომპოზიტორის ნუკრი კარკაძის სიმღერა იასამნები. ღონისძიებაში ნუკრი კარკაძემ და მისმა მონაწილემ – მარიამ გარუჩავამ მიიღეს მონაწილეობა. კონცერტს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერი არჩილ გოგასაძე, საკრებულოს თავმჯდომარე შალვა მშვილდაძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

\*\*\*

ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის კობა ლურსმანაშვილის მხარდაჭერითა და ბაღდათში მისი ბიუროს ეგიდით გაიხსნა ლიტერატურული სალონი, რომელსაც ხელმძღვანელობს დეპუტატის წარმომადგენელი – ნიცა ქვლივიძე და პოეტი – გულთამაშე მარგველაშვილი. ლიტერატურული სალონი უმასპინძლებს ყველას, ვისაც პოეზიის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და მუსიკის სიყვარული აერთიანებს. ლიტერატურულ სალონში, ყოველ შაბათს გაიმართება შეხვედრა არქიმანდრიტ მაკართან (აბესაძე) კითხვა-პასუხის რეჟიმში, ჯანსაღი დისკუსიებით განვიხილავთ აქტუალურ თემებსა და დამსწრე საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხებს, ხოლო ყოველ კვირას, 17:00 საათზე, ეტაპობრივად სალონის სტუმრები იქნებიან ცნობილი პოეტები, კრიტიკოსები, ფსიქოლოგები, სახალხო დამცველის წარმომადგენლები, საზოგადოებისთვის უცნობი თუ კარგად ნაცნობი სახეები... ლიტერატურული სალონი მდებარეობს ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის I სართულზე. დასწრება თავისუფალია.

სპეციალი

ქ ა რ ა კ ი

მაისში, თბილისის ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ქადრაკის სასახლეში, გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი ქადრაკში 6 ასაკობრივ კატეგორიაში. ასპარეზობა, შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად ჩატარდა და ქვეყნის უძლიერესი ახალგაზრდა მოჭადრაკეები მონაწილეობდნენ.

- I ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებით, დიპლომებითა და 200 ლარიანი ფასიანი ვაუჩერით.
- II ადგილზე გასული მოჭადრაკეები

დაჯილდოვდნენ მედლებით, დიპლომებითა და 150 ლარიანი ფასიანი ვაუჩერით.

- III ადგილზე გასული მოჭადრაკეები დაჯილდოვდნენ მედლებით, დიპლომებითა და 100 ლარიანი ფასიანი ვაუჩერით.

ჩემპიონატში ბალდათის მუნიციპალიტეტის საჭადრაკო სკოლის აღსაზრდელებიც მონაწილეობდნენ. 14 წლიან ქაბუკებში II ადგილი მოიპოვა ჯაბა ადამიამ 6,5 ქულით. 12 წლიან ქაბუკებში კი II ადგილი დაიკავა ლადო მალაკელიძემ 7 ქულით. ორივემ მოიპოვა საგზური ევროპის ჩემპიონატზე,

რომელიც 19-30 აგვისტოს რიგაში (ლატვია) გაიმართება.

ჯაბა ადამია არის მრავალგზის და 2018 წლის იმერეთის ჩემპიონი. ამავე წელს ის გახდა ფედერაციის თასისა და სასკოლო ჩემპიონატის მეორე ადგილის მფლობელი. ჯაბა ასევე მრავალი საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი და პრიზიორია.

ლადო მალაკელიძე არის წარჩინებული მოსწავლე, 2015 და 2017 წელს გახდა საქართველოს ჩემპიონი. ლადო არის იმერეთისა და მრავალი საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი და პრიზიორი.

ანა შორიძე

სპორტული მიმდინარეობა



გენიძის სახელობის თასი თავად ბატონმა ავთანდილმა გადასცა, რომელიც სწორედ 68 კგ. წონით კატეგორიაში იხვეჭდა მედლებს საქართველოსა და თუ საკავშირო ჩემპიონატებში. საჭიდაო ხალიჩა გოგონებსაც დაეთმოთ, რომლებიც 5 წონით კატეგორიაში გაეჯიბრნენ ერთმანეთს. აქედან 50 კგ. და 53 კგ. წონებში გამარჯვებულები ევროპის ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას საქართველოს ნაკრებთან ერთად. ტურნირის საზეიმო გახსნას ესწრებოდნენ ბალდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი კობა ლურსმანაშვილი და ბალდათის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები.

ბურთო გუნდ „საირმე“-ში. ტურნირში მონაწილეობდა ოთხი გუნდი: ნერგეთი, ნყალთაშუა, ზედა დიმი და ზედა ბალდათი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ნყალთაშუასა და ზედა ბალდათის გუნდები. გამარჯვება ზედა ბალდათმა მოიპოვა და დაჯილდოვდა გიგა მონონელიძის სახელობის თასით. თამაშის საუკეთესო ფეხბურთელად ლუკა დოლაკიძე (ნყალთაშუა) დასახელდა, საუკეთესო მეკარის პრიზი კი გიორგი ნერგაძემ (ზედა ბალდათი) მიიღო. ღონისძიებას ესწრებოდნენ მერის წარმომადგენლები ნერგეთისა და ზედა დიმი, ბალდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: ირინა ტყემელაშვილი და გურამ კიკნაველიძე. ტურნირის ორგანიზატორი გახლდათ ნერგეთი-ზედა დიმის დეპუტატი სიმონ ქოლოკვა.

დავით ყიფიანი



8-10 ივნისს, ბალდათის მუნიციპალიტეტის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრის საჭიდაო დარბაზში, გაიმართა ლევან ებანოიძისა და ავთანდილ გურგენიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. მასში მონაწილეობდა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ირანის 2003-05 და 2006-08 წლებში დაბადებული 370 ათლეტი. ოც წონით კატეგორიაში გამოვლინდა გამარჯვებულები და პრიზიორები. ბალდათელმა მოჭიდავეებმა 10 მედალი მოიპოვეს, მათ შორის 75 კგ. წონით კატეგორიაში პირველობა მოიპოვა ბალდათელმა ლუკა მარმანიამ, ხოლო მძიმე წონაში იმარჯვა ოთარ კანინაშვილმა, რომელსაც ოქროს მედალთან ერთად მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაწესებული ლევან ებანოიძის სახელობის თასი ერგო. 68 კგ. წონაში გამარჯვებულ ლანჩხუთელ ლევან თუთბერიძეს კი ავთანდილ გურ-

ჯარო სკოლის სპორტულ მოედანზე ჩატარდა ტურნირი მინი ფეხბურთში, რომელიც მიმდევნა 2006 წელს ავარიაში დაღუპულ ბალდათელ გიგა მონონელიძის ხსოვნას. ის წარმატებული ფეხბურთელი იყო და თამაშობდა საფეხ-

სალოტბარო სკოლის წარმოქმნა

2018 წლის აპრილ-მაისში გაიმართა საქართველოს საგუნდო საზოგადოების ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების IV ეროვნული კონკურსი, რომელიც ყოველწლიურად ტარდება და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრსა და საგუნდო საზოგადოებას შორის გაფორმებული მემორანდუმის მიხედვით, ჟიურის წევრები არიან ფოლკლორის ცენტრის სპეციალისტები. წელს ჟიურის წევრები იყვნენ ეთნომუსიკოლოგები: ნანა ვალიშვილი, თეა კასაბური და ნანუკა შველიძე. ჟიურის თავმჯდომარე გახლდათ მარის სირმაისი: ლატვიის აკადემიის საპატიო წევრი, ლატვიის აკადემიური სახელმწიფო გუნდის ხელმძღვანელი,

რიგის მუსიკისა და თეატრის აკადემიის პროფესორი და შერეული გუნდის ხელმძღვანელი, არაერთი საერთაშორისო საგუნდო კონკურსისა და ფესტივალის ჟიურის წევრი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, რიგის საპატიო მოქალაქე. ბოლო ორი წელია კონკურსში მონაწილეობენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სალოტბარო სკოლების მოსწავლეები, როგორც მგალობლები, ასევე საგუნდო კოლექტივები, მომღერლები და აკადემიური გუნდები. საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების IV ეროვნულ კონკურსში ბალდათის სალოტბარო სკოლიდან უფროს ვაჟთა და პატარების ჯგუფებმა მიიღეს მონაწილეობა. ფესტივალის პირველი, რეგიონული ტური ჩატარდა 28 აპრილს, ქუთაისში, მე-2 სამუსიკო სკოლაში, იგი ორივე ასაკობრივმა ჯგუფმა გადალახა, მაგრამ მეორე, ფინალურ ტურში, რომელიც გაიმართა თბილისში 13 მაისს, მონაწილეობა ბალდათის



სალოტბარო სკოლის მხოლოდ პატარების ჯგუფმა გააგრძელა. უფროს ვაჟთა გუნდი საპატიო მიზეზით გამოეთიშა კონკურსს – ავარიის შედეგად სერიოზული ფიზიკური დაზიანება მიიღო გუნდის ორმა წევრმა, ამასთანავე, უფროს ვაჟთა გუნდის რამდენიმე წევრი ა.ა.ი.პ. ბალდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრთან არსებულ ფოლკლორულ ანსამბლ „საირმეს“ წევრიც არის. ანსამბლი 9-16 მაისს ბერლინში იმყოფებოდა მარცან-ჰელდერსდორფის ტრადიციული სიმღერის ფესტივალზე და, შესაბამისად, ველარ ჩაერთვებოდნენ ფინალურ ტურში. მეორე ტური ბალდათის სალოტბარო სკოლის პატარების ჯგუფისთვის წარმატებული გამოდგა და შვიდი წევრისგან შემდგარმა გუნდმა, რომელსაც ბ-ნი ლევან გერსამია ხელმძღვანელობს, ოქროს მედალი მოიპოვა B-b-1 კატეგორიაში (ხალხური სიმღერა ნ-დან 12 წლამდე).

საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების IV ეროვნული კონკურსის გალაკონცერტი და დაჯილდოვება 1 ივნისს, თბილისში, კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა, საიდანაც ბალდათის სალოტბარო სკოლის პატარების ჯგუფი ოქროს მედალით ხელდაამტკიცებულნი დაბრუნდა. „ჩემი ვაჟების“ გუნდი წარმატებებს უსურვებს მათ!

ანა მამანიშვილი

სახელმწიფო ახალი პროექტი კენკროვანი კულტურების გასაშენებლად

სახელმწიფო პროექტში „დანერგე მომავალი“ ცვლილებები შევიდა. ბალების თანდაფინანსების კომპონენტს დაემატა ახალი ქვეკომპონენტი – „კენკროვანი კულტურები“, რომელიც ითვალისწინებს ლურჯი მოცვის, მაცვლისა და ყოლოს ინტენსიური ბალების გაშენების დაფინანსებას კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში. ქვეკომპონენტი ითვალისწინებს ფინანსურ მხარდაჭერას მრავალწლოვანი კენკროვანი კულტურების ნერგების, სარწყავი სისტემის მოწყობის ან/და ბაღის გაშენებისათვის საჭირო მასალების შექენისთვის.

დაფინანსდება შესაძენი ნერგების ღირებულების 100% როგორც ადგილობრივ ბაზარზე შექენისას, ასევე მათი იმპორტის შემთხვევაში; 100%-ით დაფინანსდება წვეთოვანი სარწყავი სისტემების ღირებულება; საჭიროების შემთხვევაში დაფინანსდება ბაღის გაშენებისათვის საჭირო მასალის ღირებულების 100%.

ფიზიკური პირის დაფინანსების შემთხვევაში ერთ ბენეფიციარზე დასაშვებია არანაკლებ 0.15 ჰა-დან არაუმეტეს 0.5 ჰა-ის ჩათვლით კენკროვანი კულტურის ბაღის გაშენების დაფინანსება. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის (რომლის საკუთრებაშია მეპაიეების მიერ პაის სახით შეტანილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები) მიერ კენკროვანი კულტურის ბაღის გაშენების ფართობი განისაზღვრება თითოეული მეპაიის მიერ შეტანილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის რაოდენობის მიხედვით, თითოეულ მეპაიეზე არაუმეტეს 0,5 ჰა-ის გადაანგარიშებით.

სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივს, რომელიც დაფინანსებას მიიღებს არანაკლებ 5 ჰექტარზე ბაღის გასაშენებლად, უსასყიდლოდ გადაეცემა პირველადი დასაწყობებისთვის საჭირო 1 ერთეული სტაციონალური მაცივარკონტეინერი, რომლის ტევადობა, საშუალოდ, 20 ტონაა. სახელმწიფო პროექტის „დანერგე მომავალი“ კენკროვანების ქვეკომპონენტი განხორციელდება:

- იმერეთში – საჩხერის, ტყიბულის, ჭიათურის, ხარაგაულის, ბალდათის, ვანის, ხონის მუნიციპალიტეტებში და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში;
- გურიაში – ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები;
- რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში – ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში;
- სამეგრელო-ზემო სვანეთში – წალენჯიხის, მარტვილისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტებში.

პროექტის „დანერგე მომავალი“ განხორციელება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ 2015 წლის მარტში დაიწყო. პროექტის მიზანია, მრავალწლოვანი კულტურების გაშენების გზით, საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტიანი გამოყენება, რის შედეგადაც მოხდება იმპორტირებული პროდუქციის ქართული პროდუქციით ჩანაცვლება, გაიზრდება ექსპორტი, გააძვირდება გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეული უზრუნველყოფა და გაუმჯობესდება სოფლად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

ბალდათის მუნიციპალიტეტის ა.ა.ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი საქართველო, ბალდათი, ჯახიანის ქ. №3 ტელ: 595 538 536; 591 00 76 54 ელ ფოსტა: chemigazeti@gmail.com

რედაქტორი ანა შორიძე ტექნიკური რედაქტორი დავით ყიფიანი „ჩემი გზა“ გუნდი: მარიამ ოქროჭელიძე, ანკელინა ჭავჭავაძე, ანა მამანიშვილი, ნინო სახამბერიძე, ფოტო: ანა ფხალაძე

გაზეთი დაჯავადონდა ი/მ მამუკა ჭოლაძის მიერ დაიბეჭდა შ.პ.ს. „ქოლორში“